



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492202810

თარიღი:28/01/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 12

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" 2021 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

როგორც ცნობილია, პანდემიით გამოწვეული არასასურველი რეალობა ყველაზე მტკივნეულად კულტურის სფეროზე აისახა, რადგან ჩაკეტილი სივრცის გამო ბევრ დაგეგმილ ღონისძიებაზე უარის თქმა მოგვიწია. მიუხედავად ამისა ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა", საანგარიშო პერიოდშიც შეძლებისდაგვარად გააგრძელა 2021 წლის პირველ ნახევარში დაწყებული საქმიანობა. მთავარი ყურადღება კვლავ მომსახურების ახალი ფორმების დანერგვისათვის ხელშემწყობი პროექტების განხორციელებას დაუთმო. ამ მხრივ, სრულად იქნა გამოყენებული არასამთავრობო ორგანიზაციების შემოთვალისწინებული და შედეგმაც არ დააყოვნა. კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში წარმატებული მონაწილეობით მიღებული უდიდესი სიკეთე, რამაც საშუალება მოგვცა გრანტით შეძენილი მიკროავტობუსის მეშვეობით გაგვეხორციელებინა მრავალფეროვანი აქტივობები მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. მუშაობის ეს ახალი ფორმა, რომელსაც პირობითად "მოდრავი კლუბი" დავარქვით, ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვებისა და ახალგაზრდების თეატრალური, ლიტერატურული და სხვა სახის ღონისძიებებით უზრუნველყოფას ადგილებზე მისვლით, რაც მათ პანდემიის პირობებში დროისა და ფინანსების დაზოგვით კულტურულ ღონისძიებებზე წვდომის ხელსაყრელ პირობებს უქმნის. ამ მიზნით "მოდრავი კლუბმა" უკვე მოიარა მუნიციპალიტეტის 20 სოფელი და სიხარული მიანიჭა ადამიანებს. აღნიშნული პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობით თვალსაჩინო შედეგები გვაქვს სა ბიბლიოთეკო გაერთიანებაშიც. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელშეწყობით პოლონურ პროექტში მონაწილეობის შედეგად ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა სოფელ ჟონეთისა და დერჩის ბიბლიოთეკები. აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოფელ დერჩში, სადაც აქამდე არ არსებობდა ინტერნეტი, ამ პროექტის საშუალებით ეს პრობლემა მოგვარდა. პროექტის ფარგლებში ბიბლიოთეკა შესაბამისი ავეჯითაც შეივსო. ამ პროექტით მოზიდულმა თანხებმა 5900 ლარი შეადგინა.

ცოტა ხნის წინ სოფელ ოფურჩხეთის მოდერნიზებული ბიბლიოთეკა წარმატებით ჩაერთო "კვიტას გეორგიკას" მიერ გამოცხადებულ პროექტში - "საჯარო ბიბლიოთეკებისა და სკოლების დაკავშირება მაღალი სათემო მონაწილეობისათვის". პროექტის პარტნიორები არიან პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის შესაბამისი ორგანიზაციები. ამ პროექტის მიზანია სოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ტრენინგების ჩატარება ბიბლიოთეკაში რათა მათ შეისწავლონ პროექტების შედეგების მეთოდოლოგია. აღნიშნული პროცესი ახლაც გრძელდება.

გარკვეული სამუშაოები ჩავატარეთ ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით: შეკეთდა სოფელ მეორე უბნისა და ქვილიშორის კლუბების სახურავები. საკონცერტო

დარბაზისათვის შევიძინეთ სპეციფიკური მტვერსასრუტი (1480 ლარი) და ფერადი საახალწლო განათებები (1000 ლარი) და კომპიუტერული ტექნიკა (4924 ლარი). ახალი წლიდან გაიხსნა და შეუდგა მუშაობას ხომულის ბიბლიოთეკა, გარემონტდა ცხუნკურის სასოფლო ბიბლიოთეკა, ხოლო ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკა მალე გადავა ასევე ახაგარემონტებულ ფართში. ასევე მოვახერხეთ წლების განმავლობაში არსებული პრობლემის მოგვარება სოფელ წყალტუბოს ბიბლიოთეკაში, სადაც ჩაისვა მეტალო პლასტმასის ფანჯრები (2300 ლარი); სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის შევიძინეთ 5 ცალი საწერი მაგიდა (1070 ლარი); რახან ბიბლიოთეკები ვახსენე, ისეთ საქმეებსაც შევხები, რაც ამ დაწესებულებაში შესული მკითველისათვის თვალში უცებ მოსახვედრი არ გახლავთ, თუმცა იქ დასაქმებულთა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ავიღოთ მთავარი ბიბლიოთეკა, სადაც პანდემიის მიუხედავად არ შეწყვეტილა პროფესიული საქმიანობა. საანგარიშო პერიოდში აქტიურად გრძელდებოდა ბიბლიოთეკების ფონდების გაწმენდა შინაარსობრივად მოძველებული და დაზინებული წიგნებისაგან. უკვე გამოიყო ზედმეტი და არაპროფილური ლიტერატურა. განხორციელდა წიგნების ტექნიკური გადამუშავება (ავთრატისა და პასპორტის გამოცვლა), ნომრებისა და ინდექსების გადაფარვა სპეციალური წებოვანი მასალით. მოდერნიზების ეს პროცესი 2021 წელს 18000 წიგნს შეეხო. მათ შორის 2600 ცალი ჩამოსაწერად მომზადდა შესაბამისი სიების შდგენით. ჩამოთვლილ საქმიანობასთან ერთად, მთავარ ბიბლიოთეკაში არ შეწყვეტილა მკითხველებთან ურთიერთობა და მომსახურება. (ცხადია რეგულაციების დაცვით), მოქმედებდა ხანდაზმული მკითხველების ბინაზე მომსახურების სერვისიც. პარალელურად, მომზადდა ქსელში ჩასატარებელი ლიტერატურული ღონისძიებების 8 სცენარი. ჩატარდა ლიტერატურული საღამოები ვაჟა-ფშაველას (160) და გალაკტიონ ტაბიძის (130) საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.

2021 წელს, მიუხედავად პანდემიისა, სათანადო სიმაღლეზე იდგა სამუზეუმო გაერთიანება. გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები შეივსო ახალი არქეოლოგიური ექსპონატებით, რომლებიც დამუშავდა და გატარდა შესაბამის საინვენტარო წიგნებში, მომზადდა და გამოიცა მუზეუმის შრომათა კრებული (890 ლარი). მიმდინარეობს პასპორტების შედგენის, ძველი გამოფენებისათვის მასალების გადახალისება-შესწავლისა და ნაწილობრივი რეექსპოზიციის პროცესი, პარალელურად, მუზეუმი რეგულაციის დაცვით უზრუნველყოფდა უცხოელი ვიზიტორებისა და ასავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მომსახურებასა და მათთვის საინტერესო მასალების მიწოდებას.

წყალტუბოს სამუზეუმო გაერთიანება აქტიურად ჩაერთო მუზეუმებისა და საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულში, "მუზეუმის მომავალი, აღდგენა და გარდასახვა". ამასთან დაკავშირებით, მუზეუმელებმა მოაწყვეს მრავალფეროვანი გამოფენები, საზოგადოებას მიაწოდეს ცნობები საინტერესო ამბებისა და ადამიანების შესახებ, რომლებიც იღვწოდნენ და იღვწიან წყალტუბოს საკეთილდღეოდ, ონლაინ ფორმით ჩატარდა ტრადიციული აქცია „მოდის დამე მუზეუმში“ , მუზეუმმა უმანსპინძლა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ისტორიის მასწავლებლებს და დაეხმარა საექსპოზიციო სივრცეში ღია გაკვეთილის ჩატარებაში. ვიზიტორებზე გაყიდული ბილეთებით შემოსული თანხა შეადგენს 1375 ლარს.

ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის“ საქმიანობაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ სახალხო თეატრსა და ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნადურს“. ეს უკანასკნელი 2021 წელს სპეციალური მიწვევით ერთი კვირით იმყოფებოდა უკრაინაში - ოდესის ოლქში, სადაც დიდი აღიარება და საერთაშორისო ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“ მოიპოვა. ასეთივე ჯილდოთი

დაბრუნდა ბაკურიანიდან თოჯინების თეატრალურ ფესტივალში მონაწილე სახალხო თეატრიც (დაიხარჯი 1225 ლარი). წყალტუბოელთა ახალი თოჯინური სპექტაკლი „აბეზარა“ (რეჟისორი ვაჟა გედენიძე) ჟიურის მიერ საუკეთესოდ იქნა შეფასებული და აღიარებული. თეატრმა ასევე იმერეთის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში წარდგენილი ახალი დრამატული სპექტაკლით, "ზადიში" (რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი) ისახელა თავი 2 ნომინაციაში - "ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შემსრულებელი".

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი აქტიურად მონაწილეობდა ზემოთხსენებულ გასვლით ღონისძიებებში მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

2021 წლის ბოლოს საკონცერტო დარბაზმა უმასპინძლა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ქორეოგრაფულ ფესტივალს, რომელშიც 42 ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. განხორციელებული ყველა აქტივობის დროს დაცული იყო შესაბამისი რეგულაციები.

2021 წლის განმავლობაში "კულტურის ცენტრის" მიერ გაწეული ხარჯი 687870 ლარს შეადგენდა. მათ შორის ბიუჯეტიდან - 598876 ლარი, არაფინანსური აქტივები - 120759 ლარი, სუბსიდია - 567110 ლარი, საკუთარი სახსრებიდან მიღებული შემოსავლებით დაიხარჯა - 88995 ლარი, დარბაზის გაქირავებით შემოსულია 4000 ლარი, გრანტის სახით - 101570 ლარი

აღსანიშნავია, რომ შექმნილი რეალობის ფონზე უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა არ მოგვეცა, თუმცა, დარგის განვითარებისათვის ზრუნვას "კულტურის ცენტრი" კვლავაც აქტიურად აგრძელებს.